

შპს „ალიანსგრუპი“

ს/კ: 418470675

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

1.	ზოგადი ინფორმაცია	5
2.	ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3.	დივიდენდების გადახდის შეზღუდვა.....	7
4.	ამონაგები	7
5.	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7
6.	ფინანსური ხარჯები/შემოსავლები.....	7
7.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7
8.	არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	8
9.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8
10.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	8
11.	სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8
12.	ძირითადი საშუალებები.....	8
13.	არამატერიალური აქტივები.....	9
14.	მოკლევადიანი ვალდებულებები	9
15.	საკუთარი კაპიტალი.....	9
16.	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	9

სრული შემოსავლის ანგარიშგება (საქმიანობის შედეგები)

შპს ალიანსგრუპი

ს/კ: 418470675

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	4	4600976	5892202
გაყიდვების თვითღირებულება	5	(4219703)	(3985129)
საერთო მოგება		381273	1907073
დასაქმებულთა ანაზღაურება		(14294)	(16193)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(9082)	(113060)
საპროცენტო ხარჯი	6	(80150)	(101500)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(6317)	(7875)
სულ საოპერაციო ხარჯები		(109843)	(238628)
საოპერაციო მოგება		271430	1668445
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(8702)	4666
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	8	59729	84441
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		322457	1757552
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		322457	1757552
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		322457	1757552
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		3262070	1647095
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		158183	(142577)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	15	3742710	3262070

დირექტორი:

რობიზონ საათაშვილი

ხელმოწერა:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს ალიანსგრუპი

ს/კ: 418470675

საანგარიშო ვალუტა: ლარი

ფინანსური მდგომარეობა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	3178186	2550012
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		5660	1462096
მარაგები	11	328185	61833
სხვა მოკლევადიანი აქტივები		727476	5500
ძირითადი საშუალებები	12	1443296	1206458
სულ აქტივები		6246112	5433674
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	14	453719	955067
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1538040	532146
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		511643	683194
სხვა ვალდებულებები		0	1197
სულ ვალდებულებები		2503402	2171604
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3742710	3262070
სულ საკუთარი კაპიტალი	15	3742710	3262070
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6246112	5433674

დირექტორი:

რობიზონ საათაშვილი

ხელმოწერა:

შპს ალიანსგრუპი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ალიანსგრუპი (ს/კ 418470675) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი, №17.

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა.

კომპანიაში პარტნიორთა წილები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- რობიზონ საათაშვილი ს/კ 59001011567 - 100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ამ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის თვეში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები - 2%
- მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 10–30 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური

აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შე-მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულო-ბის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულები) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცი-რებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტი-ვის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვე-ვაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტი-ვები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების

არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემო-სულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისა-ხება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2023	2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	4,591,824	5,892,202
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან (იჯარა)	9152	3,051
	4,600,976	2,320,381

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
გაციდული/შემცენილი საქონელი	4,204,922	3,886,061
პირდაპირი ხელფასი	14,781	9,068
	4,219,703	3,985,129

6. ფინანსური ხარჯები/შემოსავლები

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი	80,150	101,500
	80,150	101,500

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
დაზღვევის ხარჯები	0	554
სხვა საგადასახადო ხარჯები	2,215	2,729
საბანკო ხარჯები	4,041	4,571

სხვა საერთო ხარჯი	61	21
	6,317	7,875

8. არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები

	2023	2022
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი	193	9,161
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	8896	4,494

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4856	1991
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	558453	22
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	145,761
	563,309	147,775

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო დებიტორები	3,178,186	2,550,012
	3,178,186	2,550,012

11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2023	2022
საქონელი	326,889	55,340
ნედლეული და მასალები	1,296	6,493
	328,186	61,833

12. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	შენობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ინვენტარი	სულ
1 იანვარი 2023 წ.	1,157,074	321,060	323	1,375	1,479,832
შემოსვლა	0	0	0	0	0
გასვლა	0	0	0	0	0
31 დეკემბერი 2023 წ.	1,157,074	321,060	323	1,375	1,479,832

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ინვენტარი	სულ
1 იანვარი 2023 წ.	182,214	90,802	44	314	273,374
წლიური ცვეთა	745	8,223	22	91	9,082
31 დეკემბერი 2023 წ.	4354	31710	105	405	36,575
საბალანსო ღირებულება	1,152,719	289,349	257	970	1,443,296

13. არამატერიალური აქტივები

კომპანია არ ფლობს არამატერიალურ აქტივებს

14. მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	453,719	955,067
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	1,538,040	532,146
სხვა დარიცხული ვალდებულებები	0	1,197
	1,991,759	1,488,410

15. საკუთარი კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს 3,742,710 ლარს, რომელიც სრულად შედგება გაუნაწილებელი მოგებისაგან.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 24/09/2024.

დირექტორი:
რობიზონ საათაშვილი

ხელმოწერა:

სრული შემოსავლის ანგარიშგება (საქმიანობის შედეგები)

შპს ალიანსგრუპი

ს/კ: 418470675

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	4	4600976	5892202
გაყიდვების თვითღირებულება	5	(4219703)	(3985129)
საერთო მოგება		381273	1907073
დასაქმებულთა ანაზღაურება		(14294)	(16193)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(9082)	(113060)
საპროცენტო ხარჯი	6	(80150)	(101500)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(6317)	(7875)
სულ საოპერაციო ხარჯები		(109843)	(238628)
საოპერაციო მოგება		271430	1668445
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით			
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(8702)	4666
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	8	59729	84441
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		322457	1757552
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		322457	1757552
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		322457	1757552
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		3262070	1647095
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		158183	(142577)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	15	3742710	3262070

დირექტორი:
რობიზონ საათაშვილი

ხელმოწერა:



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს ალიანსგრუპი

ს/კ: 418470675

საანგარიშო ვალუტა: ლარი

ფინანსური მდგომარეობა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	3178186	2550012
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		5660	1462096
მარაგები	11	328185	61833
სხვა მოკლევადიანი აქტივები		727476	5500
ძირითადი საშუალებები	12	1443296	1206458
სულ აქტივები		6246112	5433674
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	14	453719	955067
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1538040	532146
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		511643	683194
სხვა ვალდებულებები		0	1197
სულ ვალდებულებები		2503402	2171604
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3742710	3262070
სულ საკუთარი კაპიტალი	15	3742710	3262070
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6246112	5433674

დირექტორი:

რობიზონ საათაშვილი

ხელმოწერა:



დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ინვენტარი	სულ
1 იანვარი 2023 წ.	182,214	90,802	44	314	273,374
წლიური ცვეთა	745	8,223	22	91	9,082
31 დეკემბერი 2023 წ.	4354	31710	105	405	36,575
საბალანსო ღირებულება	1,152,719	289,349	257	970	1,443,296

13. არამატერიალური აქტივები

კომპანია არ ფლობს არამატერიალურ აქტივებს

14. მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	453,719	955,067
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	1,538,040	532,146
სხვა დარიცხული ვალდებულებები	0	1,197
	1,991,759	1,488,410

15. საკუთარი კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს 3,742,710 ლარს, რომელიც სრულად შედგება გაუნაწილებელი მოგებისაგან.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 24/09/2024.

დირექტორი:
რობიზონ საათაშვილი

ხელმოწერა:

